ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N3

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 22.02.2021 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაიძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ძაგნიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ბიჭიკო პაიკიძე, რამაზ არველაძე.

სხდომას არასაპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის უფროსი: **კობა მაღლაკელიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი -**ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში საკითხებში- **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-**ივანე მამფორია.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი- **ზვიად კაპანაძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი - **ვანდა გიორგაძე.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14 ^{00} საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები"-ს გაუქმების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე;

მომხსენებელი: გელა ჩიკვაიძე

2.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ახალი ფრაქციის „ქართული ოცნება - ვანის განვითარებისათვის" დაფუძნების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: გელა ჩიკვაიძე

3. „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: ივანე მამფორია

4.„ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ"

მომხსენებელი: ზვიად კაპანაძე

5. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს: ვანდა გიორგაძე

6. ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისათვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ,ვანში, ლორთქიფანიძის ქუჩაზე მდებარე 36 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.343) სსიპ ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"-სთვის (ს/კ 41267097) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ზვიად კაპანაძე

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 31

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ საკრებულოს გააცნო ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები"-ს გაუქმების შესახებ;

ინფორმაცია საკრებულოს მიერ მიღებული იქნა ცნობად.

(განკარგულება N 27 5)

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ ინფორმაციის სახით წარმოადგინა ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ახალი ფრაქციის „ქართული ოცნება - ვანის განვითარებისათვის" დაფუძნების შესახებ.

მომხსენებლმა საკრებულოს გააცნო იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ფრაქციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს. ფრაქცია იქმნება შემდეგი შემადგენლობით:

1. გელა ღვიტიძე-ფრაქციის თავმჯდომარე.
2. თამარ შენგელია- ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე.
3. სანდრო ხურციძე-ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე.
4. ტარიელ ბარამიძე-წევრი.
5. გიგა გოგიბერიძე-წევრი.
6. შალვა ლორთქიფანიძე-წევრი.
7. ამირან ტალახაძე- წევრი.
8. პაატა ხურციძე- წევრი.
9. ბიჭიკო პაიკიძე-წევრი.

ინფორმაცია საკრებულოს მიერ მიღებული იქნა ცნობად.

(განკარგულება N 27 6)

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი:„ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2021 წლის 05 თებერვლის N 168 განკარგულებით და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობის 2021 წლის 04 თებერვლის N 147 განკარგულებით გამოყოფილი თანხების ბიუჯეტში ასახვის საჭიროებით. სოფლის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 06) ასიგნება იზრდება 570,0 ათასი ლარით. ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03) იზრდება 18,9 ათასი ლარით, აქედან 14,9 ათასი ლარი მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებას მოხმარდება, ხოლო 4,0 ათასი ლარით ფინანსდება ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მოციქულთასწორის ნინო ქართველგანმანათლებლის სახელობის ვანის მართმადიდებლური გიმნაზია (ს/კ 429649044). საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01) ასიგნება მცირდება 4,0 ათასი ლარით. ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის შემოსულობები განისაზღვრება 10692,9 ათასი ლარით, გადასახდელები 11975,9 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 1283,0 ლარის რედაქციით: 2021 წლის კორექტირებული ბიუჯეტი 2021 წლის მოქმედი ბიუჯეტი ცვლილება.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 31

წინააღმდეგი –არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

(დადგენილება N3)

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2020 წელში მიღებული დადგენილებით მიწის ნაკვეთი ნორმატიული ფასები არ შეცვლილა რჩება იგივე. კერძოდ:
ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული 1კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი განისაზღვროს : ა) ქ. ვანის ტერიტორიაზე - 8,88 ლარი; ბ) ვანის მუნ. სოფლების ტერიტორიაზე - 4 ლარი გ) ვანის მუნ. ტერიტორიაზე შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მ-ის რადიუსში - 6,00 ლარი; დ) დასახლებათა შორის არეალში - 3,00 ლარი;

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 31

წინააღმდეგი –არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება: „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“

(დადგენილება N4)

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში , როცა ხელშეკრულების ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5% ,საჭიროა საკრებულოს თანხმობა ამ ხელშეკრულების დადების თაობაზე. ხელშეკრულება ფორმდება შ.პ.ს ,,ორიენტირ“-თან შემდეგი მიზნით.დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია ღირებულებით -604890 ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 31

წინააღმდეგი –არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება: ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.“

(განკარგულება N 27 8)

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიადი კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისათვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ,ვანში, ლორთქიფანიძის ქუჩაზე მდებარე 36 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.343) სსიპ ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"-სთვის (ს/კ 41267097) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს მიწის ნაკვეთი მდებარეობს მუზეუმთან ახლოს, ამ ნაკვეთზე გაკეთდება წყლის რეზერუარი, რომლითაც არქეოლოგიური მუზეუმს მიეწოდება წყალი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:-

მომხრე – 31

წინააღმდეგი –არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება: ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისათვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ,ვანში, ლორთქიფანიძის ქუჩაზე მდებარე 36 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.343) სსიპ ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"-სთვის (ს/კ 41267097) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

(განკარგულება 27 7)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე